კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 აგვისტო ოთხშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 181 (14481)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო ეკონომიკის საფუძველი

ПРАВДА

5 აგვისტოს მოწინავე

კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად ზრუნავენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ყოველწლიურად იზრდება სოფლისადმი დახმარება — იზრდება ტექნიკის, მინერალური სასუქების, საშენი მასალების მიწოდება. მინდვრებისა და ფერმების მშრომელებმა, რომლებიც ეურდნობიან მზარდ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს წარმოების განვითარებაში, სოფლის ეკონომიკისა და კულტურის ამაღლებაში.

კოლმეურნეობები წლითიწლობით ზრდიან პროდუქციის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვას. შარშან მათ აიღეს თითქმის ჩვიდმეტი მილიონი ტონით მეტი მარცვალი, ოცდაერთი მილიონი ტონით მეტი შაქრის ჭარხალი, მიიღეს ოთხი მილიონი ტონით მეტი რძე და რვაასი ათასი ტონით მეტი ხორცი, ვიდრე 1965 წელს. გაიზარდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა სახეობათა პროდუქტების წარმოება. ყოველივე ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობებს წარმატებით შეესრულებინათ სახელმწიფოს შეკვეთა, დიდი რაოდენობით გაეყიდათ პროდუქცია გეგმის გადამეტებით. კოლმეურნეობები ბევრი სახეობის სასოფლო-სამეურნეო საქონლის მთავარი მიმწოდებლები არიან.

შესამჩნევად გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო არტელების საწარმოო-საფინანსო საქმიანობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი ფულადი შემოსავალი. უკანასკნელი ხამი წლის მანძილზე კოლმეურნეობების საერთო შემოსავალი გაიზარდა ოცდაერთი პროცენტით და 1968 წელს შეადგინა დაახლოებით ოცდაერთი მილიარდი მანეთი. ოცდაცამეტ ათასზე მეტმა სასოფლო-სამეურნეო არტელმა, ანუ მეურნეობათა საერთო რიცხვის 35 პროცენტმა, მოგებით დაამთავრა გასული წელი.

კოლმეურნეობების უმრავლესობა (ახლა კარგად ანაზღაურებს შრომას, იყენებს რა გარანტირებულ ანაზღაურებას სახელმწიფოს მეურნეობების სატარიფო განაკვეთების დონეზე. საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში ერთი კაცდღის ანაზღაურებამ შარშან შეადგინა სამმახეჯარი მანეთი. ეს ოცდათი პროცენტით მეტია, ვიდრე 1965 წელს. გაიზარდა მიწათმოქმედთა შრომის ნაყოფიერებაც. მისი მატების საშუალო წლიურმა ტემპმა დაახლოებით შვიდი პროცენტი შეადგინა. ყოველივე ეს თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ კომუნისტური პარტიის ლენინისძიებებს, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცება და განვითარება, საგრძნობი შედეგები მოაქვს, ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის შთაგონებს მიწათმოქმედთ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საერთო შემოსავლის გადიდებას არ მოსდევს წარმოების რენტაბელობის ამაღლება. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ დაბალია შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება. არის ფაქტები, როცა მოხმარებისა და დაგროვების ფონდების შექმნა წარმოების დიდი დარღვევებით. ხელფასის ანარიცხი ზოგჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დაბანდება განუყოფელ ფონდებში, და, ამრიგად, ირღვევა გაფართოებული კვლავწარმოების მთავარი პირობა. რა მოსდევს ამას? იზრდება პროდუქციის თვითღირებულება, მცირდება მეურნეობის რენტაბელობა.

სოფლის ეკონომიკის განმტკიცებისათვის, წარმოების გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო შემოსავლის სწორ განაწილებას მოხმარებისა და დაგროვების ნაწილებად. იქ, სადაც წარმოების გაფართოებისათვის ზრუნავენ, ნათლად ხედავენ პერსპექტივებს, არტელის წევრები გონივრულად ანაწილებენ შემოსავალს, ზრდიან ანარიცხებს განუყოფელ ფონდებში. სწორედ ასე იქცევა მოლდავეთის სსრ, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ვოლგოგრადის ოლქის მეურნეობათა უმრავლესობა.

მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობების შემოსავალს ყველგან სწორად როდი ანაწილებენ. განა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ აზერბაიჯანის, ლატვიის, საქართველოსა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლო დროს არ აწარმოებს გადარიცხვას განუყოფელ ფონდებში. მაგალითად, ესტონეთის სსრ პილვის რაიონის „რანის“ კოლმეურნეობას, რომელმაც შარშან დაახლოებით სამი ათასი მანეთი წმინდა შემოსავალი მიიღო, კაპიკიც არ გადაურიცხავს განუყოფელი ფონდის შესავსებად ძირითად საშუალებათა ნაწილში. ამასთან პრემიალურ ფონდში აქ შეიტანეს ახი ათასი მანეთი, ანუ წმინდა მოგების ოცდაათ პროცენტზე მეტი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში სერიოზული ნაკლოვანებანია აგრეთვე განუყოფელი ფონდების გამოყენებაში: ცუდად არის დაყენებული ტექნიკის დაცვა და ექსპლოატაცია, საკმაოდ დაუსაბუთებლად ჩამოწერენ ხოლმე ტრაქტორებს, ინვენტარს, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობას. ყველგან სწორად როდი ხარჯავენ აგრეთვე საბრუნავ სახსრებს. შარშან სომხეთის ორმოცდაათზე მეტმა არტელმა მთლიანად ჩამოწერა თავისი საბრუნავი სახსრები ზარალისა და სხვადასხვა სახის დანაკარგის დასაფარავად. განუყოფელი ფონდების ასეთი გამოყენება აუარესებს კოლმეურნეობების ეკონომიურ საქმიანობას.

ამასთან ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და სტატისტიკური სამმართველოები ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებენ ამ საკითხებს. მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ყოველთვის როდი ეწევათ საჭირო დახმარება საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიურად დასაბუთებული გეგმების შედგენაში. ხოლო სახბანკის დაწესებულებები ზოგჯერ ღრმა ანალიზის გაუკეთებლად იღებენ დაუსაბუთებელ გეგმებს დასაკრედიტებლად. სსრ კავშირისა და მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის სამინისტროებს დღემდე არ მიუცია კოლმეურნეობებისათვის შემოსავლის განაწილებისა და საბრუნავი სახსრების ნორმირების რეკომენდაციები. ამავე დროს ხომ ცნობილია, რომ კოლმეურნეობაში საერთო შემოსავლის სწორი განაწილება საფარნეო ანგარიშის განმტკიცების, პირდაპირი საბანკო დაკრედიტების, კრედიტებზე მოთხოვნის განსაზღვრის, განსაკუთრებით შრომის გარანტირებული ანაზღაურების ერთ-ერთი შესაბამისი პირობაა.

პარტიული კომიტეტები, სოფლის კომუნისტები ვალდებული არიან თავიანთ მტკიცე კონტროლს დაუქვემდებარონ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე. საქმე ეხება საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიური საფუძვლის განმტკიცებას, მისი სიმდიდრისა და კულტურის ზრდას. მეურნეობათა ხელმძღვანელების, სოფლად თვითეული პარტიული მუშაკის ამოცანა ის არის, რომ იზრუნონ არა მარტო კოლმეურნეთა ძეთილდღეობის დღევანდელი ზრდისათვის, არამედ იფიქრონ აგრეთვე ხვალინდელ დღეზე, საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ განვითარებაზე.

პარტიული ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სრულყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური საქმიანობა. წარმოების რენტაბელობის ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი მთავარია შემოსავლის სწორი განაწილება, დაგროვებისა და მოხმარების ფონდების ეკონომიურად დასაბუთებული შექმნა. ამას უნდა მივაპყროთ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და საფინანსო ორგანოების უურადღება, რათა დაეხმარონ კოლმეურნეობებს უფრო ეფექტიანად გამოიყენონ საზოგადოებრივი შრომით მოპოვებული თვითეული მანეთი.

ლენინელ ეკონომისტთა ვანსტეკა 100

დროს გაუსწრეს

ბიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს ბიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცის კომბინატის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. მან 30 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ხუთწლედის ოთხი წლის დავალება და 1970 წლის ანგარიშში სამშობლოს მისცა ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. კალინინელებმა მარტო მიმდინარე წლის ექვს თვეში 1.293 ათასი მანეთი მოგება მიიღეს. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი ი. აბულაძე უძღვება.

ზრდიან ეკონომიკის ნაყოფიერებას

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ფქვილი გამოდის ყოველთვიურად თბილისის № 3 წისქვილკომბინატიდან (დირექტორი გ. ჯორჯიაშვილი). აქაური პროდუქციით მარაგდება როგორც ჩვენი, ისე მოძმე რესპუბლიკების ქალაქები, ამიტომ საწარმოს კოლექტივი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება დავალების შესრულებას. შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა სამეცრო, ცალკე ბრიგადა.

ახლახან აქ დაიწყეს ფქვილის უტარო გაცვლა სპეციალური მანქანებით. ამით დიდძალი მუშახელი დაიზოგა. მათი სხვა სამუშაოზე გადაყვანით, აგრეთვე დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებით საწარმომ საგრძნობი ფულადი ეკონომია მიიღო. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. ამას განსაკუთრებით შეეწყო ხელი დამფასოებელმა საამქრომ, რომელიც ახლახან გაიხსნა და ტექნიკის უახლესი სიტყვის მიხედვით არის აღჭურვილი. სიახლეთა დანერგვამ კომბინატელებს საშუალება მისცა ვადამდე 105.5 პროცენტით გაეანაღდებინათ შვიდი თვის დავალება. პირველ კვარტალში მიღებული მაღალი მაჩვენებლებისათვის კი კომბინატმა თავისი პროფილის საწარმოთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში — გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა.

ზრდიან მარცვლეულის სახელმწიფოს

წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა ჩინებულად იშრომეს ხუთწლედის მეოთხე წელს, თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მიიღეს და გადამეტებით შეასრულეს მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა.

მოსავალი აღებულია 26.600 ჰექტარზე. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 19,7 ცენტნერი მარცვალი, ხოლო ხორბალი — 20,4 ცენტნერი. ნაცვლად 12.070 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 23.000 ტონა ხორბალი. მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმა ყველა კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზემო მაჩხაანის, წითელწყაროს ლენინის, გამარჯვების ჟდანოვის სახელობის, ჯაფარიძისა და სამათლოს კოლმეურნეობების მემინდვრეთა ნაყოფიერი შრომა.

მარცვლეულის გეგმის შესრულებასთან ერთად წითელწყაროელებმა გადამეტებით შეასრულეს რძისა და კვერცხის დამზადების ცხრა თვის გეგმები, რძისა — 102,1 პროცენტით, ხოლო კვერცხისა — 105 პროცენტით.

მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

მარცვლეული — სახელმწიფოს

ლენინგორის რაიონის ხიმინჯებს, კოჭებს ხიდებისა და მსხვილი საამქროებისათვის, ამწეებს და მრავალ სხვა პროდუქციას უშვებს რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანა. საწარმოს ნაწარმი საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში იგზავნება.

ქარხანაში მუშაობენ ახალგაზრდა ხარატები კომკავშირელები ლ. დევრისაშვილი და გ. ზასუხოვი. მათ თავდადებული შრომით გაითქვეს სახელი. ცვლის დავალებებს 125 პროცენტით ასრულებენ. სურათზე ზემოთ — რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის მოწინავე ხარატები გ. ზასუხოვი (მარცხნივ) და ლ. დევრისაშვილი.

ზორს, თჩამჩირის რაიონის საზღვრებს გარეთაც ცნობილია ბესლახუბის მახარაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრების შრომითი წარმატების ამბავი.

მიმდინარე სეზონში მათ პირველებმა რაიონში შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. ფაბრიკაში გაიგზავნა 524 ტონა ხარისხოვანი ნედლეული. მაგრამ ბესლახუბელები არ დასჯერდნენ მიღწეულ წარმატებებს და გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს — დამატებით მოკრიფონ კიდევ 100 ტონა ჩაი.

დიდი შრომითი მიღწევები აქვთ კოლმეურნეობის მეთამბაქოეებსაც. ივლისში მათ ანემსეს 100 ათას ზონარმეტრზე მეტი სურნელოვანი აფხაზური თამბაქო. მეთამბაქოეები პირობას იძლევიან წლის ბოლომდე თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მიმღებ პუნქტს 30 ტონა პროდუქცია ჩააბარონ — გეგმაზე 5 ტონით მეტი. მეორე სურათზე — ხედავთ კოლმეურნე ა. მანიას თამბაქოს შეტენის დროს.

ფოტო რ. კაპარაძისა და ი. ჰოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მილეგი — სოფლის მეურნეობას

რუსთავი. (საკ. კორ.). 90 პროცენტი მილებისა, რომლებსაც მეტალურგიული ქარხნის დგან „400“-ის კოლექტივი აწარმოებს, სოფლის მეურნეობას ეგზავნება. ძირითადად მათ იყენებენ ნაკვეთების მორწყვისათვის, სასმელი და ტექნიკური წყლის გაყვანისათვის. ასეთ მილებზე მოთხოვნილება დიდია საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაც.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იძლევიან შეკვეთებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბულგარეთი, რუმინეთი და სხვა მოძმე ქვეყნები.

აღნიშნული დაკვეთების შესრულებაში განსაკუთრებთ გამოიჩინა თავი ცვლამ, რომელსაც გამოცდილი ოსტატი გ. ჯაგალაშვილი ხელმძღვანელობს. მასთან ერთად ლენინურ ვახტზე წარმატებით შრომობენ ბრიგადირი ვ. ლაშხია, მილმჭრელები ა. ლოპატკო, ი. კაპანაძე, გ. პანოვი, დამხარისხებლები ზ. გოგიაშვილი, ნ. მჭედლიძე და სხვები.

120-130 პროცენტი — ასეთია მათი ყოველდღიური მაჩვენებელი.

სქკპ დელეგაცია რუმინეთის კომპარტიის X ყრილობაზე

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 5 აგვისტოს რუმინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე მოსკოვიდან ბუქარესტში გაფრინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი თ. ა. სურგანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. პ. პიტიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ა. ვ. ბასოვი. (საკდესი).

ბუქარესტი, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რუმინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის მუშაობაში.

ქიკრძალოს მასობრივი მოსპობის საშუალებანი

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა ფაქტები, რომ ამერიკის საიდუმლო ლაბორატორიებში წარმოებს მასობრივი მოსპობის საშუალებათა დამუშავება. დასავლეთ გერმანია, იტალია, იმ ქვეყნების ტერიტორიები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით შედიან სამხედრო ბლოკებში, ხდება ისეთი ყველაზე საშინელი მომაკვდინებელი იარაღის თავმოყრის ადგილი, როგორსაც კი ოდესმე იცნობდა კაცობრობა.

ამერიკის მთავრობა არ მალავს, რომ აპირებს კვლავაც დაგროვოს და გაამრავლოს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის მარაგი. დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი განაგრძობენ ქიმიურ მომწამვლელ ნივთიერებათა შემუშავებასა და გაუმჯობესებას. მაგრამ დღეს, ნათქვამი განცხადებაში, უკვე შეუძლებელია დაიმალოს ის ფაქტი, რომ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი ისევე სამშია კაცობრიობისათვის, როგორც ატომური იარაღი.

მშვიდობის საბჭოთა მომხრეები გადაჭრით მოითხოვენ ბოლო მოეღოს დანაშაულებრივ მზადებას ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომისათვის, კანონგარეშე იქნას გამოცხადებული ადამიანთა მასობრივი მოსპობის ეს საზარელი იარაღი. (საკდესი).

ლენინელები — ლენინს

5 აგვისტოს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შედეგებსა და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. მეტრეველმა. პლენუმმა აგრეთვე მოისმინა თბილისის საქალაქო, აბაშის საოლქო და გალის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების ანგარიშები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“, რომლებიც გააკეთეს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გაბუნიამ, საქართველოს ალკკ აბაშის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. სარიშვილმა და კომკავშირის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. ფეიჩახიამ.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სახაკოევი, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. იმედაძე, კომკავშირის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი გ. სომხიშვილი, გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ვარდანიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიე ს. ნიკოლაიშვილი, ახმეტის რაიონის სოფელ ჩაჩხრიალის, ბიბლიოთეკის გამგე ც. ქარუმაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. ავალიანი და სხვები.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწევიან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებლად.

კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ფართოდ დაუჭირეს მხარი წარმოების ახალგაზრდა მოწინავეებს, სოციალისტური შრომის გმირების, ლენინის ორდენის კავალრების, ლენინური კომკავშირის პრემიების ლაურეატების ბიძამთავას ყველა ქალიშვილისა და ჯაბუკისადმი. ახალგაზრდა მეწინავეთა მოწოდება — „გადავაქციოთ თვითეული წინააღმდეგობა ლენინური დამკვრელური მუშაობის დღედ“ გახდა ქალაქისა და სოფლის თვითეული ახალგაზრდა მშრომელის ღირსების საქმე. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში რესპუბლიკის 700 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ, რომლებიც დადგნენ ლენინურ შრომითს ვახტზე, იკისრეს პირადი ვალდებულებანი, შრომითს საჩუქრებს უმზადებენ სახელოვან იუბილეს.

ამასთან პლენუმმა აღნიშნა, რომ წარმატებებთან ერთად რესპუბლიკის ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და „შესახებ“ შესრულებაში აქვს ნაკლოვანებანი. ცალკეულ ორგანიზაციებში ყველა ქალაშვილი და ჯაბუკი აქტიურად როდი მონაწილეობს იუბილესათვის მზადებაში. განხორციელებული ღონისძიებანი ზოგჯერ ზერელე ხასიათისაა. პლენუმის მონაწილეებმა, ისე როგორც რესპუბლიკის მთელმა ახალგაზრდობამ, მხურვალედ დაუჭირეს მხარი სკკპ დელეგაციის საქმიანობას კომუნისტური და შუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე და სავსებით მოიწონეს თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტები.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია რესპუბლიკის ახალგაზრდობაში შრომითი აღმავლობის შემდგომი განვითარებისა და იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების ღონისძიებანი. (საქდესი.)

სტავროპოლის დიდი არხი

სტავროპოლის დიდი არხის მეორე რიგის მშენებლობა დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში. მაგისტრალის პირველ კილომეტრზე უკვე ამოღებულია ასობით კუბური მეტრი გრუნტი, ხოლო, სოფელ კრომ-გორევსკოესთან მექანიზატორები შეუდგნენ გვირაბის გაყვანას, რომლითაც არხში წავა ყუბანის წყალი. სულ უნდა გაიყვანონ სამი გვირაბი.

325 კილომეტრი სიგრძის არხი მორწყავს 175 ათას ჰექტარ და გაანულოვანებს დაახლოებით ორ მილიონ ჰექტარ გვალვიან მიწებს.

სტავროპოლი.

სად ჩაედინება ზერავშანი

სამეცნიერო-სტუდენტებსაც კი გაუნელდებათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, სად მთავრდება მდინარე ზერავშანი? შესაძლოა, ბუხარის მახლობლად, სადაც იგი ორ დიდ არხში ჩაედინება. ან იქ, სადაც მისი შენაკადები ათობით სარწყავ არხებად იქსაქსება. შეიძლება მინდვრებში, სადაც ათასობით ნაკადი რაკრაკებს ბამბის მწვრილვებს შორის. როგორ განვსაზღვროთ მისი კალაპტი, როცა თითქმის მთელი წყალი პლანტაციების რწყვაზე იხარჯება! ამბობენ, რომ გასულ საუკუნეში ზერავშანი ზოგჯერ ამფდარიამდეც აღწევდა და მისი შენაკადი იყო. ახლა ირიგაციის განვითარების შედეგად ეს გამორიცხულია.

მაგრამ ინჟინრებს მიაჩნიათ, რომ ამ მდინარის ყველა შესაძლებლობა როდია გამოყენებული. ახლა დაიწყო კერმინის ჰიდროკვანძის მშენებლობა, რომელიც ზერავშანს გადახიდავს და კიდევ 5 ათას ჰექტარ მიწას მორწყავს. შვიდ ადგილას უკვე დიდი კაშხალებით გადახიდა ეს ღრმა არტერია.

ბუხარა. (საკდესის კორ.).

სრული დატვირთვით — ჩაის საკრეფი მანქანები!

ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის მიმდინარეობა

1969 წლის 1 აგვისტოსათვის (ტონობით)

რაიონები	გეგმა	შესრულება
აფხაზეთის ასსრ	3.800	1.198
გალის	2.224	756
ოჩამჩირის	1.227	218
გუდაუთის	211	190
გულრიფშის	138	34
აბაშის ასსრ	1.230	531
ქობულეთის	1.230	531
მახარაძის	1.550	1.112
ზუგდიდის	6.285	2.867
ფალენჯიხის	2.000	1.233
ლანჩხუთის	70	30
ჩხოროწყუს	360	161
ჩოხატაურის	200	97
წულუკიძის	360	97
წალენჯიხის	415	100
ცხაკაიას	260	136
ხობის	140	51
ვანეეკორის	300	83
სამტრედიის	30	29
სულ	17.000	7.725

□ □

რედაქციისაგან: მიმდინარე წლის 20 ივლისს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ცხრილი (16 ივლისის მდგომარეობით) იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა. მაშინ რედაქციამ ცხრილში მოყვანილი ცნობების საფუძველზე გააკეთა შენიშვნები და ზოგიერთი რაიონი გააფრთხილა, რომ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის გეგმის შესრულება საფრთხეში იყო. რა მდგომარეობაა 1 აგვისტოსათვის?

16 ივლისის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. რესპუბლიკის მეჩაიეებმა მოელი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ჩაის ფოთლის სიუხვისა და ხარისხისათვის. უკანასკნელი ცნობებით მოკრეფილია 176.069 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 48.781 ტონით მეტი. მანქანებით უნდა მოიკრიფოს 17.000 ტონა, 1 აგვისტოსათვის მოკრეფილია 7.725 ტონა.

ჩაის კრეფის აღებული ტემპი იმის საწინდარია, რომ მეჩაიეები თავიანთ სიტყვას საქმედ აქცევენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანას მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები კარგად იყენებენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ. ეს პირველ რიგში ითქმის მახარაძის რაიონის მეჩაიე-მექანიზატორებზე. მახარაძელებმა მიმდინარე წელს მანქანებით უნდა მოკრიფონ 1.550 ტონა ჩაის ნედლეული, უკვე მოკრეფილი აქვთ 1.112 ტონა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთის ასსრ (განსაკუთრებით ოჩამჩირის რაიონი), გეგეჭკორის, წყალტუბოს, წულუკიძის, ხობის და სხვა რაიონებს ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის გეგმა კვლავ სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული. უფრო მეტიც, წყალტუბოს რაიონმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა კარგახანია შეასრულა, მაგრამ ფოთლის მექანიზებული კრეფის გეგმის შესრულებაში ძალზე ჩამორჩა.

ჩაის ფოთლის საკრეფმა მანქანამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მაგრამ ზოგან ამ მანქანებს მთელი დატვირთვით ვერ ამუშავებენ. ვფიქრობთ ამ საქმეს მეტ ყურადღებას მიაქცევენ ცხრილში ჩამოთვლილი რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოები და ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე უთუოდ შეასრულებენ ნედლეულის მექანიზებული კრეფის გეგმებს.

215.000 ტონა ჩაისათვის

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲔᲒᲘ

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელსაც კომუნისტი ბ. გაბრიაე უძღვება, პარტიული პროპაგანდის მეთოდური ცენტრია. აქ შექმნილია პროპაგანდისტთა, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა მეთოდური საბჭოები, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელებისათვის.

ზაფხულის ამ დღეებშიც ბევრი ხალხი იყრის თავს კაბინეტში. აქ მოწყობილია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და მასალების გამოფენა. ეწყობა ლენინური კითხვანი და თემატური საღამოები, სხვა საინტერესო ღონისძიებები.

პოლიტიკური განათლების წამდვილ კერებად იქცნენ ავრეთვე საავტომობილო, ელექტრომექანიკური და ლითოფონის ქარხნების პარტიულ კომიტეტებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტები.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა გაზეთ „ტყიბულის“ რედაქტორის ს. მერკვილაძის ანგარიში.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში გაზეთმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა. კარგად შუქდება პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მიმდინარეობა, ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხები. განმტკიცდა კავშირი მუშა კორესპონდენტებთან.

ამასთან პლენუმზე აღინიშნა, რომ გაზეთის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლიც. ჯერ კიდევ ცოტა იწერება ახალი ეკონომიური რეფორმის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. გაზეთი სათანადოდ ვერ ეხმარება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს.

საქალაქო კომიტეტის პლენუმმა გაზეთ „ტყიბულის“ რედაქციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის კონკრეტული ღონისძიებანი დასახა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ

ᲐᲑᲐᲨᲐ. (საკ. კორ.). დიდი ლენინის ასწლოვან იუბილეასთვის მზადებასთან დაკავშირებით პარტიის რაიონულმა კომიტეტმა კულტურის სახლში მოაწყო კითხვა-პასუხების საღამო.

ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ შემოსულ კითხვებზე პასუხები გასცეს რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩაგუნავამ, პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ნადარეიშვილმა, პარტკაბინეტის გამგემ შ. დუნდუამ, რაიონის პროკურორმა დ. მდინარაძემ, სახალხო მოსამართლემ კ. ჩაგანავამ, განათლების განყოფილების გამგემ ნინო ფოჩხუამ.

გადაწყდა ასეთი საღამოები რეგულარულად მოეწყოს.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲩᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ დასასრულს, როცა არსებითად ვითარდებოდა და გეგმარდებოდა თანამედროვე ქალაქები, ქუჩებში პირველი ავტომობილის გამოჩენამ ვერ მიიღო სათანადო შედასება ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით. თუ XX საუკუნის დასაწყისში სულ რამდენიმე ათასი ავტომანქანა ირიცხებოდა, დღეს დედამიწაზე უკვე 200 მილიონი ავტომანქანაა. ამასთან მათი რიცხვი წლითიწლობით სწრაფად იზრდება, ავტომანქანა მტკიცედ დაუკავშირდა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს და უიმისოდ უკვე წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება.

საავტომობილო ტრანსპორტის მძაფრ განვითარებასთან ერთად გამოვლინდა, რომ მაგისტრალური ქუჩების ქსელი ვეღარ აკმაყოფილებს ტრანსპორტის მოთხოვნილებებს. არ უნდა დავიჯეროთ საზღვარგარეთის მსხვილი ქალაქების სავალალო გამოცდილება, სადაც საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით ჩატარებულმა დიდმა გადახალისებამაც კი ვეღარ გადაჭრა თანამედროვე ქალაქების ეს წმვავე პრობლემა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტომანქანათა ნაკადის გატარებისა და საქალაქო მოძრაობის დახშობის თვალიდან აცილების მიზნით დიდი სარეკონსტრუქციო ღონისძიებები ხორციელდება. შენდება მოძრაობის ავტოსტრადები, ეწყობა ავტომანქანების მსაობრივი სადგომები მეტროპოლიტენისა და ადგილობრივი მატარებლების ბოლო სადგურებთან. ასეთ შემთხვევაში „სამუშაო ადგილას“ აღწევენ ნაწილობრივ საკუთარი მანქანით, შემდეგ კი მეტროს საშუალებით. მაგრამ მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, საქალაქო მოძრაობის პრობლემა იქ მეტად დაძაბულია და, შეიძლება ითქვას, გადაუწყვეტელია.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში საავტომობილო მოძრაობა ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული და მანქანების რიცხვი არც ისე დიდია, მაინც ნაკადები უკვე გვიჩენენ გარკვეულ საფიქრალსა და სახრუნავს.

თბილისის უახლოესი წლების განვითარებისა და რეკონსტრუქციის გეგმით გათვალისწინებულია საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ყველა სახეობის განვითარება. რკინიგზის მატარებელთა რიცხვი იზრდება 116 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტი — 4-ჯერ. ქალაქის მოსახლეობის მომსახურება განხორციელდება ავტობუსებით, ტროლეიბუსებით, მეტროპოლიტენითა და ნაწილობრივ ტრამვაით; გაორკეცდება ავტობუსებისა და ტროლეიბუსების რიცხვი, მეტროპოლიტენის ვაგონების რიცხვი გაიზრდება 24-ჯერ, მსუბუქი მანქანებისა — 4-ჯერ და ა. შ. ამგვარად, ავტომანქანების რიცხვი ჩვენს ქუჩებში უახლოეს წლებში მკვეთრად გაიზრდება და ალბათ უფრო დიდი სიზრუნავიც გაგვიჩნდება.

1925 წელს პარიზის მთავარმა არქიტექტორმა განაქმულ ლე კორბუზიეს უთხრა: „თუ პარიზში მოძრაობა ვერ მოწესრიგდება, მით უკეთესი, მაშინ ჩვენ მოვსპობთ ავტომანქანებს“. მას შემდეგ 44 წელი გავიდა, მოძრაობა გაცილებით ინტენსიური გახდა, მაგრამ მანქანების მოსპობაზე, როგორც იცით, არავინ ფიქრობს. ცალკეული ცდები — შეზღუდონ ავტომანქანათა გაჩერების ადგილები, დაანესონ ცალმხრივი მოძრაობა და სხვ. მოგეგებუნებს სირაქლემას ტაქტიკას, რომელიც თავს მალავს, რათა მტერი არ დაინახოს.

საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაცია, ტრანსპორტის პრობლემის გადაჭრა ღრმა მეცნიერულ გააზრებას, გონიერ და რეალურ გადაწყვეტას მოითხოვს. იმ ქალაქებში, რომლებშიც 250 ათას კაცამდე მოსახლეობა, ტერიტორიებისა და მაგისტრალების სწორად. გადაწყვეტილი საქმეების გითარებაში, მოსერხებული საქალაქო მოძრაობის ორგანიზაცია არ წარმოადგენს სიძნელეს. დიდ ქალაქებში სატრანსპორტო საშუალებათა მრავალსახეობა იწვევს მოძრაობის ინტენსიფიკაციის ზრდას და ტრანსპორტის სახეობის არჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საქალაქო ტრანსპორტის ნაკადების ზრდასთან ერთად წ�ფეხით მოსიარულე მგზავრთა უშიშროების პრობლემა, რადგან საქალაქო მაგისტრალების ტრანსპორტის ნაკადთა კონცენტრაცია თანაბარზომიერად ფეხით მოსიარულეთა ნაკადთა კონცენტრაციას. ეს ხდება იმის გამო, რომ ტრადიციის ძალით შენობათა პირველი სართულები მაღაზიებს უჭირავს. მთავარ მაგისტრალებზე განლაგებულია უნივერმაღები, კინოთეატრები, საზოგადოებრივი შენობები. გარდა ამისა, ნითელი ხაზების გასწვრივ გრძელდება ინტენსიური ფრონტალური სახინაო მშენებლობა, რის გამო უსრულყოფილი არ არის ბინების ინსოლაცია ქუჩის ხმაურისაგან, ავტომანქანები გაზებით აბუჭყიანებენ ჰაერს და სხვ.

ცხადია, მაგისტრალებზე აგებულ სახლებში მოსახლეობის ცხოვრების პირობები გაციცლებთ უარესია, ვიდრე წყნარ ქუჩებსა და კვარტალების შიგნით მდებარე შენობებში. სრულიად დაუშვებელია, როცა მაგისტრალური არტერიები ყაცხოვრებელ კვარტალებში გადის.

როგორც ცნობილია, რეკოლუციამდე ჩვენში სავაჭრო ქსელი, თეატრები, კინტორები განლაგებული იყო მთავარ ქუჩებსა და მაგისტრალებზე. დღესაც ბანკები, სავაჭრო დაწესებულებანი, ადმინისტრაციული შენობები პარიზსა და ლონდონში განლაგებულია საქმიან რაიონებში და კვლავაც გრძელდება მათი გაგრძელება. თბილისშიც, რუსთაველის პროსპექტის ორკილომეტრიან მონაკვეთზე კონცენტრირებულია ადამიანებისათვის შენდება. მართლაც, ქალაქის მოსერხებულობასა და კომფორტის დონის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს დროის უნაყოფო ხარჯვა, რომელიც გვჭირდება საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე გადასვლაზე და უკან დაბრუნებისათვის, ე. ი. ეს არის ყოველდღიური უნაყოფო გადაადგილების ის დრო, როცა ახალი საცხოვრებელი რაიონები ქალაქის სხვადასხვა გარეუბნებში იქმნება, მოსახლეობის ჩასახლება ბინებში უნდა მოხდეს შემთხვევაში მათი სამუშაო ადგილის გაუთვალისწინებლად ხდება. ამით ადამიანთა დიდი რაოდენობა განწირულია უნაყოფო გადაადგილებისათვის.

ეს მეტად სამწუხაროა. თბილისი განლილია თითქმის 40 კილომეტრზე. და ქალაქის ერთ ბოლოში მცხოვრები ადამიანი, თუ ის მის მეორე ბოლოში მუშაობს (ასეთი ფაქტები კი მრავალია), ყოველდღიურად იძულებულია დაფაროს უფრო მეტი მანძილი, ვიდრე თბილისიდან მცხეთამდეა თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი სამუშაოდ 40 წელიწადს შრომობს, გამოდის, რომ მან ტრანსპორტში თავისი სიცოცხლის 4-6 წელიწადი უნდა გაატაროს.

საცხოვრებლის სამუშაო ადგილიდან მოწყვეტის შედეგად ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ადამიანი მიემგზავრება ერთი პუნქტიდან მეორეში, საიდანაც ამდენივე ხალხი მიდის სამუშაო ადგილას ქალაქის მეორე ბოლოში. სამუშაო ადგილისა და საცხოვრებელი ზონების მართებული განლაგებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა სწორი განაწილებით შეიძლება ზნეობრივ-ლოგნად შევამციროთ საქალაქო მოძრაობის ინტენსივობა და დროის უქმი ბარჯვა. ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში იმ მიზნით, რომ მშრომელები რაც შეიძლება ახლოს ცხოვრობდნენ სამუშაო ადგილიდან, გაკრცელებულია ლი ასეთი კოდესი. შესაძლებელია ამ საკითხის მოგზარებას და ამით კარგ სამსახურს გაუწევდეს, როგორც ქალაქის ტრანსპორტს, ასევე თვით მოქალაქეებსაც.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, რთულია და საკილდება არქიტექტურის კომპეტენციას. საკითხია ამ საკითხით დაინტერესდნენ საქალაქო ორგანოები, სოციოლოგები, ჰიგიენისტები, ყველა, ვინც პასუხისმგებელია მოსახლეობის ცხოვრებაზე.

თბილისის სატრანსპორტო პრობლემის მოწესრიგების იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც გათვალისწინებულია უახლოეს წლებში, აღსანიშნავია მეტროპოლიტენის ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, ახალი გრძივი და განივი მაგისტრალური ქუჩების გაყვანა, ხიდების აგება და სხვ. მთავრდება მტკვრის სანაპიროს მშენებლობა. მარჯვენა მხარეს შენდება სანაპირო მეტეხის ხიდიდან ორთაჭალის ჭეასმდე გვერდების სახით, და შემდეგ — რუსთაველის მიმართულებით, აგრეთვე ლიდების ხიდიდან სადგურ აკაკამდე მარჯვენა მხარის სანაპირო გაგრძელდება ზაპესამდე და სოლანლუღამდე.

ამის შედეგად შეიქმნება ჩჩაროსნული სატრანზიტო მოძრაობა ქალაქის გასწვრივ და რამდენადმე განიტვირთება მისი ცენტრი. ჩქაროსნულ მაგისტრალად გადაიქცევა ავრეთვე კაზიოის გზატკეცილი აეროპორტიდან ბელაანის ქუჩამდე, როცა ის 60 მეტრამდე გაფართოვდებ. გრძივ მაგისტრალებთან ერთად გათვალისწინებულია განივი მაგისტრალების შექმნა, რაც დაკავშირებულია ახალი ხიდების მშენებლობასთან.

უკვე დაიწყო ასეთი ხიდის მშენებლობა საბურთალოში პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომპლექსის მახლობლად, ვაზუშტის-ქუჩაზე გასვლით, ეს ბევრად შეამცირებს გზას საბურთალოდან ლენინის რაიონამდე და განტვირთავს ქალაქის ცენტრს.

მაგრამ მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, პირველ რიგში კი გადასაჭრელია ავტომანქანების სადგომებისა და გარაჟების საკითხი. ჩვენში ქალაქთმშენებლები აკ ბოლო წლების განმავლობაში შეუბამელ შეცდომებს უშვებდნენ იმ მხრივ, რომ საზოგადოებრივ შენობათა დაბებმარებისას არ ითვალისწინებდნენ მანქანების დასაყენებელ ადგილებს. თბილისში არც ერთი დიდი საზოგადოებრივი შენობის წინ (ოპერის თეატრი, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, უნივერმაღი და სხვ.) არ არსებობს მანქანების სადგომი. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივად მოგვეჩვენება თუ გავითვალისწინებთ მათი მშენებლობის დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც განაგრძობთ მსხვილი სამაყურებლო და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობას ისე, რომ მანქანების სადგომებს არ ვითვალისწინებთ („დინამოს“ სტადიონი, საკონცერტო დარბაზი, დახურული ბაზარი პირველი მაისის რაიონში და სხვ.).

მანქანა თანდათანობით გადაიქცა ჩვენი ეპოქის აუცილებელ ელემენტად, და მოქალაქეს საშუალება უნდა ჰქონდეს მანქანით მივიდეს თეატრში თუ სტადიონზე. სხვათა შორის, მსოფლიოს არქიტექტურის ნორმებით აარძალულია სამაყურებლო შენობების მშენებლობა, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება მანქანების სადგომი საშუალოდ მაყურებელთა 20 პროცენტისათვის. ამრიგად, ბუნებრივია, რომ იქ, სადაც საშუალება არ არის გამოიყოს ადგილი მანქანებისათვის, საერთოდ არ შეიძლება მასობრივ სანახაობათა ობიექტების დაგეგმარება.

განსაკუთრებით მძიმეა ქალაქში გარაჟების საკითხი, რაც აგრეთვე ქალაქთმშენებლობის შეცდომებთან არის დაკავშირებული. ამჟამად რამდენიმე ათასმა გარაჟმა უსეში და ულამაზო ლეთონის ბოქსების სახით ჩვენი ისედაც მცირე ეზოების მთელი სივრცე დაიკავა. გარაჟები კვლავ განუხრელად და წარმატებით ისაზღვრებენ შეტევას სპორტული მოედნების, მწვანე ნარგავების ზონა-ზღვიდან. ქალაქის საბჭო გადაწყვეტილება ეზოებში გარაჟების ოთახებად ბისაგენ, ბუნებრივია, ეზოდან ეზოში ... ეზოებიდან ... ეზოებიდან ... ეზოებიდან

საერთაშორისო სხივგაჯა

კომუნისტთა ინტერნაციონალური მოვალეობა

ბრატისლავის თათბირის წლისთავის გამო

პრაღა, 4 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რუდე პრავო“ დღეს ბეჭდავს სარედაქციო სტატიას „ინტერნაციონალური ინტერესებისათვის“, რომელიც ეძღვნება ბრატისლავის თათბირის წლისთავს. სტატიაში ხაზგასმულია: ბრატისლავის თათბირი, რომელმაც ასე ეროსულოვნად დადასტურა, რომ საჭიროა ყველა სოციალისტური ქვეყნის ინტერნაციონალური მეცადინეობა ამ ქვეყნებში სოციალიზმის მონაპოვრების მხარდაჭერისათვის, განმტკიცებისა და დაცვისათვის, შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად ისტორიულად.

დღეს უკვე საკმაოდ ცნობილია, წერს გაზეთი, თუ როგორ სურდათ განეგოთ სოციალიზმის ბელი ჩეხოსლოვაკიაში. იმპერიალისტურ წრეებსა და ჩეხოსლოვაკელ პოლიტიკოსთა ადგანტიერისტულ კარიერისტულ დაჯგუფებებს, რომლებიც წარსულის რეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას იყენებენ სკკუთარი პოზიციების მოსაპოზიციებლად ხელისუფლების ორგანოებში.

ცნობილია აგრეთვე, თუ რა ლენინური მოთმინებით აწარმოებდნენ მოძმე პარტიები მოდაპარაკებას ჩვენს წარმომადგენლებთან 1968 წლის აპრილიდან აგვისტომდე.

მაგრამ ბრატისლავის თათბირის შემდეგაც, რომელიც გაფრთხილებას იძლეოდა, თუ რა საშიშრობა მოელოდა იმპერიალისტური ძალების გამრავნელი საქმიანობის გამო, აღნიშნავდა, რომ იგი შეიკრიბა რთულ საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენი ხრიკ არ განგვიხორციელებია არავითარი კონკრეტული ღონისძიება ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა ჯგუფების წინააღმდეგ. მიმე ეამს, იაავნენ რა ჩვენს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, ჩვენი მოკავშირენი ხელმძღვანელობდნენ ბრატისლავის თათბირის დასკვნებით, რომელმაც ადასტურა ბრატისლავის თათბირის ადგილი, ეროვნული სოციალიზმის ბელ ბელ ბელ

საქართველოს ფეხბურთი

ქართულ მოდას ბულგარეთში უჩვენებენ

თუ საერთაშორისო გამოფენები, ფესტივალები, კონგრესები, სიმპოზიუმები მისამართს იცვლიან, სამაგიეროდ ბაზრობებს ჩვეულებრივი ადგილსაყოფელია ლაიფციგი, იზმირი, პოზნანი, ბაღდადი... რამდენიმე ათეული წელია იმართება საერთაშორისო ბაზრობები. მათ რიცხვშია, მაგალითად, პლოვდივის ბაზრობა ბულგარეთში.

1892 წლის 15 აგვისტოს მდინარე მარიცის ნაპირას გაიხსნა პლოვდივის პირველი საერთაშორისო გამოფენა. ამ გამოფენაზე თავისი ფონოგრაფები უჩვენა სახელგანთქმულმა ედისონმა. ცნობილმა ფრანგმა მფრინავმა გოდარმა ბულგარელ დოქტორ გენადიევთან ერთად აქ პირველად ბულგარეთის ისტორიაში იფრინა სამაერო ბურთით. ოსტატობის ჩვენება პლოვდივში დიდ პატივად ითვლება.

კმაყოფილი ვარო, — თქვა საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. მიქაუტაძემ, — რომ ჩვენი რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო სამსახურის კოლექტივს წილად ხვდა დიდი პატივი მონაწილეობა მიიღოს პლოვდივის ბაზრობაში, რომელიც სექტემბერში გაიმართება. იგი საინტერესოა, რადგან გაიმართება „ბულგარელი ხალხისათვის ღირსშესანიშნავ წელს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავად.

ტრადიციისამებრ პლოვდივის ბაზრობის დღეებში მოდების კოლექციას უჩვენებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. საბჭოთა პავილიონი უჩვენებს ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, რომლებიც ქართველმა მოდელიერებმა შექმნეს.

კოლექცია შედგება ოთხმოცი მოდელისაგან, რომლებიც დანაწილებულია რამდენიმე თემატურ ანსამბლად. აქ არის ტუალეტები სტუმართა მისალებად და რესტორანში წასასვლელად, სპორტული, ტურისტული და სასეირნო ტანსაცმელი წელიწადის ყველა დროისათვის, ყოველგვარი ამინდისა და... განწყობილებისათვის.

ქართველმა მხატვრებმა, მეკოსტიუმეებმა და მოდელიერებმა ქოსკოვიდან მოწვეული კონსულტანტების დახმარებით შეადგინეს ტანსაცმლის კოლექცია ისეთი ანგარიშით, რომ იგი ეხმაურებოდეს მსოფლიო მოდას და მზადდებოდეს საბჭოური მასალებისაგან ძირითადად ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკებში. მოდელების შეკერვა პატარა სერიებად საშუალებას გვაძლევს ჩავიცვათ ისე, რომ /არა ვგავდეთ ერთმანეთს.

მოდელების ჩვენება თეატრალიზებული იქნება. (საქდესი).

90 წლის ექვენასი

90 წელი შეუსრულდა ნესტორ ზივზივაძეს. იგი მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ვარციხეში ცხოვრობს. ნესტორი დიდი ხანია პენსიაზეა, ოჯახის შვილებულად ცხოვრობს, მაგრამ გული როგორ მოუთმენს მოხუცს, როცა ზაფხულში ამდენი საქმე აქვთ გამოჯეგანახეგს. საბჭოთა მეურნეობის სხვა მეგანახეგებთან ერთად ისიც ცისმარე დღეს თავს დასტრიალებს შვილიეთი ნაზარდ ვაზს. მეურნეობაში ვენახს დაახლოებით 500 ჰექტარი უჭირავს, თანაც ვაზმა ბარაქიანად რომ დაისხას, მას 80-ჯერ მაინც უნდა „ეახლო“. ახალი ამბების საგენტოს ფოტოკორესპონდენტმა **ბ. ლადუბანმ** ნესტორ ზივზივაძე სწორედ მისი საყვარელი საქმიანობის — ვენახში მუშაობის დროს გადაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნერის მუშვენება

ოსი. (საკ. კორ.). კურორტ უნერას ყოველწლიურად მრავალი დამსვენებელი ეტანება. აქაური მინერალური წყალი შესანიშნავად უწყობს ხელს ბევრი სერიოზული დაავადების მკურნალობას. ამბობენ, უნერა ქირურგის დანას ცვლისო.

შარშან აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საცხოვრებელი კორპუსი.

ახლა უნერაში კვლავ ხარაჩოების ტყე დგას. მიმდინარეობს 200-ადგილიანი ოთხსართულიანი პანსიონატის მშენებლობა; კურორტის განაშენიანების გეგმა ითვალისწინებს სამგზავრო-სანაგრო გზის აგებას, რომელიც პანსიონატს დაუკავშირებს უნერის სამკურნალო წყაროსთან.

ახალი პანსიონატის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მომავალი წლისათვის.

ერთ საჩვენებელ კონცერტზე

ახლახან გაიმართა საჩვენებელი კონცერტი, სადაც საესტრადო განყოფილების მოსწავლეებმა პედაგოგებსა და სტუმრებს საინტერესო პროგრამა აჩვენეს. ახალგაზრდებმა გამომაქეცავნეს მრავალმხრივი შესაძლებლობანი: საკმაოდ დახვეწილი მეტყველება, კარგი სამსახიობო ოსტატობა, პლასტიკა, ბევრ შემოხვევაში დამაკმაყოფილებელი ვოკალური მონაცემები, ძალდატანებელი სასცენო მოძრაობა და სხვ. კონცერტზე იგრძნობოდა, რომ პედაგოგებს გ. ქართველიშვილს, კ. ბადრიძეს, ე. ახალკაცს, მ. შილდელს, გ. ოდიკაძეს, ა. შალიკაშვილს, თ. ხატიაშვილს, ა. ოკანოვს და სხვ. დიდი აღმზრდელობითი და შემოქმედებითი შრომა გაუწევიათ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა I და II კურსის მოსწავლეთა საესტრადო ნომრებმა, რომლებიც მომზადებულია სექციური მუშაობის პროგრამის მიხედვით.

პანტომიმურ ეტიუდებს შოხდენილად ასრულებდნენ I კურსის გოგონები. კარგი იყო მეორე კურსელთა მუსიკალური ეტიუდი „შემოხვევა სკოლაში“ და ვოკალური ოქტეტის დასმამასოგრებელი გამოსვლა. სიმღერებს, ცეკვებს, მხატვრულ კითხვას, პანტომიმას ასრულებდნენ კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები — ი. მეტრეველი, ვ. დურგაიშვილი, ა. მოდრეკილაძე, ე. ფხაკაძე, მ. ტატიშვილი, ჯ. მუროსიძე, ნ. ჩხეტიანი, მ. ბარაბაძე, ო. ღომაშვილი, გ. ღომხაძე, ვ. კაკაძე, კ. კახაძე, ტ. გელიაშვილი და სხვები.

თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საესტრადო განყოფილების საჩვენებელი კონცერტი მაღალი შეფასების ღირსია.

ნ. ჯაფარიძე.

უნერის მუშვენება

ოსი. (საკ. კორ.). კურორტ უნერას ყოველწლიურად მრავალი დამსვენებელი ეტანება. აქაური მინერალური წყალი შესანიშნავად უწყობს ხელს ბევრი სერიოზული დაავადების მკურნალობას. ამბობენ, უნერა ქირურგის დანას ცვლისო.

შარშან აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საცხოვრებელი კორპუსი.

ახლა უნერაში კვლავ ხარაჩოების ტყე დგას. მიმდინარეობს 200-ადგილიანი ოთხსართულიანი პანსიონატის მშენებლობა; კურორტის განაშენიანების გეგმა ითვალისწინებს სამგზავრო-სანაგრო გზის აგებას, რომელიც პანსიონატს დაუკავშირებს უნერის სამკურნალო წყაროსთან.

ახალი პანსიონატის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მომავალი წლისათვის.

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

შეხვედრა იაპონურ ესტრადასთან

იაპონელი მსახიობები ჩვენს ქალაქში იშვიათი სტუმრები არიან. სულ რამდენჯერმე გვქონდა საშუალება გავცნობოდით მათს ხელოვნებას. ქუჩებში გაკრული აფიშები იუწყებოდნენ იაპონური ესტრადის მსახიობების ჩამოსვლას, და ამ უანრის თაყვანისმცემლებმაც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრს მიაშურეს. კონცერტი ყოველგვარი საესტრადო ეფექტების გამოუყენებლად დაიწყო. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდა ორი ვოკალისტი: იასუკო ოიკი და ტერუო ხატა. ამ ორ შესანიშნავ მომღერალს მუსიკალურ მეგზურობას უწევდა ინსტრუმენტული ანსამბლი „დიზი ფინგერსი“.

მიუხედავად იმისა, რომ კონცერტში ინსტრუმენტულ მუსიკას მცირე რეგლამენტი აქვს დამობილი, კვინტეტის წევრებმა მაინც შეძლეს თავისი „მეს“ თქმა. მათ მიერ შესრულებული ორი საკონცერტო ნომერი მდიდარი იყო ყველა იმ კომპონენტით, რასაც თვალისწინებს ინსტრუმენტული ნაწარმოების ანბანი. ეს არის მა ფალკვალიფიციური მუსიკოსებისაგან შემდგარი ჯგუფი. ამ ხუთეულში ყველა სოლისტი და ამავე დროს თვითეული მათგანი კარგად გრძნობს პარტნიორს. ანსამბლის მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები თუ ფრაგმენტი წარმოადგენს ერთიან სინთეზს, რაშიც დიდი წვლილი შეაქვთ მუსიკოსებს: ტაკანი ოგავას, ტამოცუ კატაბამის, კუნიო იიდას, ძიუნიტი მიტობეს და მათს ხელმძღვანელს, პიანისტს ტოსიო სუძიკოს.

ანსამბლმა კონცერტზე მხოლოდ ორი ინსტრუმენტული ნაწარმოები წარმოადგინა. პირველ განყოფილებაში შესრულებულ მუსიკალურ პიესას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „სოლო ფორტეპიანოსათვის“. ანსამბლის ხელმძღვანელის ტოსიო სუძიკოს როგორც პიანისტის დაკვრა უდავოდ ცხადყოფს მის ბრწყინვალე ტექნიკასა და ტემპერამენტს. ტ. სუძიკო თავის ქვეყანაში მსმენელის წინაშე ხშირად გამოდის ტოკიოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სოლისტის ამბლუაში, რაც მის მაღალპროფესიულობაზე მეტყველებს.

მომღერალი ქალი იასუკო ოოკი ჩვენს ქვეყანაში პირველად არის. მის გამოსვლებში იგრძნობა, რომ ესტრადაზე იგი ახალბედა აღარ არის. მას საკმაოდ დაბალი ტემბრის ხმა აქვს. იასუკას ვოკალურ და საშემსრულებლო მონაცემებს ამშვენებს არტისტიზმი, თავშეკავებულობა, კულტურა.

ლირიკული ტენორის მქონე ტერუო ხატას საკმაოდ დიდი რეპერტუარი აქვს. თუმცა მის გამოსვლაში იაპონურ სიმღერებს ძალიან მცირე ადგილი აქვს დამობილი, სამაგიეროდ სჭარბობს ამერიკული პოპულარული სიმღერები. მრავალფეროვნება მისასალმებელია, მაგრამ როდესაც იაპონელი მსახიობების კონცერტზე ისმის ძირითადად მათთვის უცხო სიმღერები, მსმენელისათვის ცოტა არ იყოს მოსაწყენია. საამისოდ არსებობს გრამფირფიტების ფართო ასორტიმენტი.

ამმავალი მზის ქვეყნის მომღერლებს შეიძლება ვარსკვლავების სიკაშკაშე აკლიათ, მაგრამ თბილისელ ესტრადის მოყვარულებს კარგა ხანს ეხსომებათ მათ მიერ წარმოდგენილი კონცერტი.

კ. მაკაარიძე.

• • •

სურათებზე: ზემოდან — მღერიან იასუკო ოოკი და ტარუო ხატა; ქვემოთ უკრავს კვინტეტი „დიზი ფინგერსი“.

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

იცნობდეთ, ჩვენი თანამემამულეა

ოთხი წელი ვენაში

ქართველი პროფესორი — საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორი

უკვე მეოთხე წელია ვენაში, გაერთიანებული ერების ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოში მუშაობს ქართველი პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ილია ზედგინიძე. იგი ასრულებს საგენტოს ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობას. აღსანიშნავია, რომ ი. ზედგინიძე პირველი საბჭოთა მეცნიერია, რომელსაც საგენტოში უკავია დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა.

აღნიშნული თანამდებობა საკონკურსოა. წარდგენილი საბუთების საფუძველზე კანდიდატის საკითხს განიხილავს საერთაშორისო საგენტოს წევრ სახელმწიფოთაგან შერჩეული მმართველთა საბჭო და მის გადაწყვეტილებას ამტკიცებს საგენტოს გენერალური დირექტორი. საგენტოში გაერთიანებულია მსოფლიოს 105 სახელმწიფოს წარმომადგენელი.

ილია ზედგინიძის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენს სამედიცინო საზოგადოებაში. იგი 1966 წლამდე მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ და ამავე ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელად.

იგი არის 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელთა შორის ზოგიერთი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში. კერძოდ, ევროპის ქიმიოთერაპევტთა ყრილობის შრომებში (ავსტრია, ვენა, 1967 წ.), მეან-გინეკოლოგთა V მსოფლიო კონგრესის შრომათა კრებულში (ავსტრალია, სიდნეი, 1967 წ.), ევროპის რადიოლოგთა I კონგრესის შრომებში (ესპანეთი, ბარსელონა, 1967 წ.), ბულგარეთის რადიოლოგთა კონგრესის შრომათა კრებულში (სოფია, 1967 წ.), ჰემატოლოგთა მსოფლიო XII კონგრესის შრომათა კრებულში (ნიუ-იორკი, 1968 წ.) და სხვ.

როცა პროფესორი ილია ზედგინიძე შვებულებით ჩამოვიდა თბილისში, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუბულური შეხვდა მას და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეცნო, თუ რას წარმოადგენს ატომური ენერგიის მეცნიერებათა დეპარტამენტის, როგორია მისი სტრუქტურა და ფუნქციები, პრობლემატიკა და საქმიანობა?

— ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა საერთაშორისო დეპარტამენტი, — განაცხადა პროფესორმა ი. ზედგინიძემ, — შედგება სამედიცინო, რადიობიოლოგიისა და კლინიკური დოზიმეტრიის სექციებისაგან. დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია პროფილისდამიხედვით სამეცნიერო ხასიათებელი სამხარეო პათოლოგიის შესწავლას, დიაგნოზირებისა და მკურნალობის საკითხებს, რის გამო დეპარტამენტის თანამშრომლებს გვიხდება ადგილებზე გამგზავრება, ინსტიტუტებისა და კლინიკების მდგომარეობისა და შესაძლებლობათა გაცნობა და სხვ.

დეპარტამენტი ორგანიზაციას უწევს საერთაშორისო სიმპოზიუმებს, ექსპერტთა თათბირებისა და საერთაშორისო კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებას, რომელთა საქმიანობასა და მსვლელობაში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები.

დეპარტამენტი მუშაობს შემდეგ პრობლემებზე, როგორიც არის ანემიები (სისხლნაკლებობა), სისხლის სისტემატური დაავადებანი (თეთრსისხლიანობა, ლიმფოგრანულომატოზი, პოლიციტემია — სისხლსავსეობა და სხვ.), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებანი, რადიაციული ჰემატოლოგია, ბიოსამედიცინო პროდუქტთა და ქსოვილთა რადიოსტერილიზაცია და კლინიკური დოზიმეტრია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენი დეპარტამენტი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად ამზადებს და ამ წლის ბოლოსათვის გამოსცემს წიგნს „რადიაციული ჰემატოლოგია“. სარედაქციო საბჭოში შედიან ცნობილი მეცნიერები — პროფესორები ლაიტ და კოლერი (ინგლისი), ანტონი (უნგრეთი), გორდონი (აშშ), დუპლანი (საფრანგეთი), ფლიდნერი (გფრ) და სხვები. აღნიშნული სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე მე გახლავართ. გარდა, ამისა, ამავე წიგნში იბეჭდება ჩემი ორი შრომა „რადიაცია და სისხლის ზოგიერთი დაავადებანი“ და „რადიაცია და ლიმფოციტი“. წიგნი ინგლისურ ენაზე გამოდის.

იტალიაში რადიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე წამოყენებულ იქნა წინადადება და კონგრესის მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს შეიქმნას ბირთვული მედიცინისა და ბიოლოგიის მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება, რომლის ორგანიზაციისათვის არჩეულია მოსამზადებელი კომიტეტი ცხრა მეცნიერის შემადგენლობით. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი მეცნიერი — პროფესორი შტამბერგი (კანადა), სოლო კომიტეტის სხვა რვა წევრთა შორის მეცა ვარ.

ასეთია მოკლედ ჩემი მოღვაწეობა ვენაში ატომური ენერგიის საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორის პოსტზე.

მოუთმენლად ველი იმ დროს, როცა მომიხდება კვლავ ჩემს მშობლიურ საქართველოში დაბრუნება სამუშაოდ.

ნაირ-ნაირი

არზა არყის ხის ქერქზე

ნოვგოროდელმა არქეოლოგებმა გათხრების დროს აღმოაჩინეს არყის ხის ქერქზე დაწერილი კოლექტიური წერილი, რომელიც თითქმის 600 წლისაა. იგი ეძღვნება ვინმე „ბატონ იერის კონდრატესა და სოფლელებისაგან“. გლეხები უჩივიან, როგორც ჩანს, მამასახლისს, რომელიც არ აძლევს მათ ცხენებს, არზა მთავრდება სიტყვებით: „უცხენებოდ ცხოვრება არ შეგვიძლია“.

უკანასკნელ დრომდე უძველესი გათხრების ისტორიაში არ იცნობდნენ კოლექტიურ საჩივარს ბატონთა თვითნებობაზე. ასეთი დოკუმენტები ჯერ-ჯერობით „ითამდეა ნაპოვნი ნოვგოროდის ოლქში.

(საკდესი).

ქვირითი ცისარტყელას ფერებით

ინდოეთი. არ იცის, რამდენი ტბაა ტაიმირში: აქამდე ვერ დაუთვლიათ ისინი. მაგრამ ეს კი ცნობილია, რომ ამ ტბებში ბევრი თევზია. და თითოეულ ტბას აქვს „საიდუმლოება“, რომელიც ზერელე დამკვირვებლისაგან დაფარულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ მომთმენთათვის. მაგალითად, კეტის ტბაში, ბინადრობს ოთხრქა ღორჯო — მსოფლიოში ერთადერთი ასეთი მტკნარი წყლის თევზი. იშვიათად უნახავთ ამ თევზის ქვირითი, რომელიც უჩვეულოა: ქვირითი ცისარტყელის ფერებისაა — წითელი, ლურჯი, ყვითელი, იისფერი. მაგრამ პროფესიონალ მებადურებს არ უყვართ ოთხრქა ღორჯო — იგი ბადეს ხლართავს. (საკდესი).

სპორტი

სპარტაკიადის მაჯისცემა

მოსკოვის სპორტული ბაზებიდან პროფკავშირთა სპარტაკიადის მონაწილეთა განკარგულებაშია, დედაქალაქის სტუმარია რვა ათასამდე სპორტსმენი, მწვრთნელი და მსაჯი. სპარტაკიადა თავის უფლებებში შედის. თუ 4 აგვისტოსათვის სტარტზე 7 სახეობის წარმომადგენლებს ვხედავდით, ერთი დღის შემდეგ მათს რიგებს შეუერთდნენ კიდევ სამი სახეობის წარმომადგენლები.

მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის სპორტის სასახლეში შედგა ხუთეულთა პაექრობა ფარიკაობაში მართალია, ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ „დინამოსა“ და ცსკა-ს მოფარიკაკეები, მაგრამ პირველობისათვის მებრძოლთა შემადგენლობა, რომელთა რიცხვი ორმოცდათექვსმეტს შეადგენს, მეტად ძლიერია. პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდა ვ. კორმუშკინი (რსფსრ). მოფარიკაკეთა ორი ძლიერი კოლექტივის — მოსკოვისა და რსფსრ-ის შეხვედრა დამთავრდა 8:8.

მოსკოვში შეჯიბრება აქვთ აგრეთვე ტანმოვარჯიშეებსა და აკრობატებს. მხატვრულ ტანვარჯიშში ჩემპიონებს 8 აგვისტოს გავეცნობით. მონაწილეობენ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ე. კარპუხინა, სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გამარჯვებული ა. ზასუხინა, ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. ოვჩინიკოვა, ა. ბელოუსოვა, ლ. ბელოუსოვა, ა. ბოგინსკაია, ა. ბოგინსკაია, ა. ბოგინსკაია